



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის მარტში საქართველოს რეალური მშპ-ის წლიური ზრდა 7.3%-მდე დაჩქარდა, წინა თვის 5.8%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2023 წლის I კვარტალში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.2%-ით გაიზარდა. მარტში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, ტრანსპორტის და ვაჭრობის, ხოლო შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის და უძრავი ქონების დარგებში. პირველი კვარტალის მოსალოდნელზე მაღალი ზრდის გათვალისწინებით, ჩვენი საბაზისო პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 5.8%-ით გაიზარდება 2023 წელს, რაც 13პ-იანი გაუმჯობესებაა წინა პროგნოზთან შედარებით (იხილეთ მეტი).

ტურიზმი: 2023 წლის I კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორები (ჯამურად ტურისტული და ერთდღიანი ვიზიტები) საქართველოში წლიურად გაორმაგდა და 1.1 მლნ მოგზაური შეადგინა. ამასთან, ტურისტული ვიზიტები წლიურად 183.8%-ით გაიზარდა და 2019 წლის I კვარტალის 95.8% შეადგინა, ხოლო ერთდღიანი ვიზიტორების (+384.3% წ/წ) აღდგენა სუსტი იყო (48.8% 2019 წლის კვარტალის დონის). ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა რუსეთიდან (24.1% წილი ჯამურ ვიზიტებში), რასაც მოჰყვება თურქეთი (20.3% წილი) და სომხეთი (17.1% წილი). ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (67.0%-იანი წილი), რასაც მოსდევს საჰაერო გზით შემოსვლა (32.1%-იანი წილი).

სებ-ის შეფასებით, ტურიზმის შემოსავლები წლიურად 102.0%-ით გაიზარდა და 795.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2023 წლის I კვარტალში. ჩვენი პროგნოზით, 2023 წელს ტურიზმის შემოსავლები 15.0%-ით გაიზარდება 4.0 მლრდ აშშ დოლარამდე (იხილეთ მეტი).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 3.6%-ით გაიზარდა 2023 წლის მარტში, წინა თვის 2.8%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 44.9 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, მარტში სესხების პორტფელის წლიურად 13.8%-ით გაიზარდა, წინა თვის 13.3%-იანი ზრდის შემდეგ. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 11.8%-მდე დაჩქარდა (+10.7% თებერვალში), ხოლო საცალო დაკრედიტების წლიურმა ზრდამ, წინა თვის მსგავსად, 15.7% შეადგინა; აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელის წლიური ზრდა 11.7%-მდე შენედა, წინა თვის 13.3%-იანი ზრდის შემდეგ. 2023 წლის მარტში სესხების დოლარიზაცია 44.3%-მდე შემცირდა (-6.00პპ წ/წ და -0.10პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.7%-ს გაუტოლდა (-0.13პპ წ/წ და -0.13პპ თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 30.4%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 43.3 მლრდ ლარი შეადგინა 2023 წლის მარტში (+29.5% წ/წ თებერვალში). ვალუტების მიხედვით, მარტში ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა 33.7%-მდე დაჩქარდა (+28.6% თებერვალში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 28.1% შეადგინა (+30.0% თებერვალში). ამასთან, მარტში დეპოზიტების დოლარიზაცია კვლავ შემცირდა და 53.5% შეადგინა (-5.88პპ წ/წ და -1.25პპ თ/თ), რაც 1997 წლის ნოემბრის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

სებ-მა 2023 წლის მარტში 219.6 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა

სებ-მა 2023 წლის მარტში 219.6 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა BMatch პლატფორმის საშუალებით. ჯამურად, 2023 წლის I კვარტალში, სებ-მა 460.5 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,997	20,244
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თავარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

ტურიზმის შემოსავლები მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სებ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 25 აპრილს 5-წლიანი 90.0 მლნ ლარის (35.9 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.057პპ-ით გაიზარდა და 8.726% შეადგინა.

უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 2 მაისს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები,
2023 წელი

მადიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი
6-თვე	80	160	420
1-წელი	80	160	
2-წელი	171	320	
5-წელი	384	720	6,424
10-წელი	240	780	
სულ	955	2,140	6,844

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


* 2023 წლის მარტის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.74%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.04 (+0.03% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 97.81 (+0.26% წინა კვირასთან შედარებით), 8.84%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 85.63 ფასად (+0.13% წინა კვირასთან შედარებით), 7.42%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 89.97 (-0.28% წინა კვირასთან შედარებით), 6.52%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები								
გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB-/BB/Ba2	89.97	6.52	284.14
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB/-	85.63	7.42	407.44
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/BB/Ba2	100.04	5.74	n/a
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	98.75	12.32	760.91
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	97.81	8.84	388.79
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/B1	98.14	8.96	541.52
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/BB/Ba2	98.33	7.31	260.95
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	95.71	12.95	971.30

ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.94	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.59	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	98.23	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.80	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.78	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	99.04	7.25	-/-/-

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 29.60 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.23% წინა კვირასთან შედარებით და +13.63% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 405 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 28.00 - 30.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 101 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 23.55 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +5.84% წინა კვირასთან შედარებით და +6.56% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 345 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 22.15 - 23.85 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 61 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 8.05 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.55% წინა კვირასთან შედარებით და +5.92% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 1325 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.84 - 8.09 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 253 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	ნ. თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	29.60	1,383	38.6%	135.7%	13.6%	2.74x	4.15x	3.78x	0.90x	0.85x	0.74x
TBC	TBC	GBP	23.55	1,295	24.3%	90.2%	3.7%	4.10x	3.95x	3.52x	1.04x	0.89x	0.76x
Halyk Bank	HSBK	USD	13.40	3,654	33.7%	31.9%	20.7%	2.69x	3.06x	2.87x	0.78x	0.76x	0.63x
Akbank	AKBNK	TRY	16.05	83,460	9.3%	78.9%	-17.9%	1.40x	1.95x	1.87x	0.55x	0.44x	0.39x
Garanti	GARAN	TRY	27.38	114,996	16.9%	82.8%	-8.9%	1.91x	2.70x	2.19x	0.73x	0.61x	0.51x
Isbank	ISCTR	TRY	10.83	108,300	19.7%	126.4%	-15.2%	0.84x	2.25x	2.00x	0.60x	0.49x	0.39x
PKO	PKO	PLN	32.07	40,088	24.7%	-4.3%	5.9%	10.98x	6.09x	6.35x	1.03x	1.00x	0.92x
PEKAO	PEO	PLN	95.98	25,192	24.6%	-1.6%	11.0%	na	4.93x	5.98x	na	0.91x	0.88x
Millennium	MIL	PLN	4.93	5,980	14.7%	-6.2%	7.6%	na	2.41x	2.59x	1.04x	0.97x	0.86x
Mbank	MBK	PLN	347.50	14,746	36.3%	17.6%	17.4%	na	na	5.37x	1.10x	1.00x	0.84x
BRD	BRD	RON	12.40	8,642	8.2%	-27.5%	-4.6%	6.81x	6.01x	5.99x	1.31x	1.05x	1.02x
Banca Transilvania	TLV	RON	19.15	13,552	8.8%	-10.9%	-3.9%	na	5.89x	5.53x	1.60x	1.21x	1.09x
Komerční	KOMB	CZK	688.50	130,849	-2.8%	-14.6%	5.1%	8.36x	8.65x	8.49x	1.21x	0.99x	0.95x
Mean								4.42x	4.34x	4.35x	0.99x	0.86x	0.77x
Median								2.74x	4.05x	3.78x	1.04x	0.91x	0.84x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	ნ. თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Georgia Capital	CGEO	GBP	8.05	360	28.2%	32.6%	10.3%	na	na	na	0.38x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.00	436	-2.1%	-13.0%	-4.0%	18.33x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	38.20	77,943	20.5%	88.9%	-15.3%	1.77x	2.00x	1.63x	0.77x	0.62x	0.46x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.45	535	12.9%	-1.2%	2.0%	na	na	5.26x	1.00x	0.82x	0.74x
Eurazeo	RF	EUR	64.65	5,122	11.7%	-11.7%	11.3%	8.89x	9.44x	8.27x	0.78x	0.69x	0.66x
Carlyle Group	CG	USD	30.22	10,940	5.0%	-21.5%	1.3%	8.50x	8.55x	6.60x	1.70x	2.06x	1.65x
Wendel SE	MF	EUR	101.60	4,512	26.8%	8.2%	16.5%	6.63x	8.28x	8.16x	na	1.40x	1.26x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.45	1,577	-3.9%	-19.5%	-1.7%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.58	679	-2.3%	-1.7%	-2.6%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.70	835	20.5%	8.5%	12.0%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	9.46	654	-2.5%	-22.1%	12.1%	na	na	na	0.65x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.43	221	0.2%	-20.9%	-3.8%	na	na	na	0.47x	na	na
Mean								8.82x	7.07x	5.98x	0.84x	1.12x	0.95x
Median								8.50x	8.42x	6.60x	0.78x	0.82x	0.74x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge